

პრესრელიზი

„საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ ტრადიციულად საახალწლოდ კატარზისს უმასპინძლა

საახალწლოდ საქველმოქმედო სადილის ფარგლებში კომპანია GIG კატარზისის ბენეფიციარებსა და სტუმრებს გაუმასპინძლდა. კომპანიისა და კატარზისის ორგანიზებით გამართულ საახალწლო აქციას 400-ზე მეტი სტუმარი დაესწრო. ბენეფიციარების გარდა ცხელ, გემრიელ სადილზე კატარზისმა სოციალურად დაუცველი ხანდაზმული მეგობრებიც მიიპატიჟა.

„საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია წლებია რაც მიუსაფარი და უმწეო მოხუცებისთვის, როგორც დღესასწაულებზე, ასევე წლის განმავლობაში „ცხელი სადილით“ მასპინძლობს მათ.

30.12.2016

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

